

მხედველობის შეზღუდვის მქონე მოსწავლეთა ძირითადი გამოწვევები

საკლასო აქტივობებში თანამონაწილეობისას

თამთა შველიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა- სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჟანა კვაჭაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული ლექტორი, სპეციალური განათლების მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

სარჩევი

მადლობა	1
აბსტრაქტი	2
ტერმინთა განმარტება-----	3
შესავალი	5
საკვლევი საკითხი-----	7
საკითხის აქტუალობა	9
ლიტერატურის მიმოხილვა	10
კვლევის დიზაინი	27
კვლევის მეთოდოლოგია -----	28
კვლევის შედეგები.....	30
დასკვნები და რეკომენდაციები	39
გამოყენებული ლიტერატურა	45
დანართი	48

მადლობა

ჟანა კვაჭაძეს, სამეცნიერო ხელმძღვანელს, რომლის რჩევები და მოსაზრებები ყოველთვის გონივრული და მნიშვნელოვანი იყო და რომელიც დახმარებას მიწევდა კვლევის ყველა ეტაპზე.

კურსის „პედაგოგიური საქმიანობის კვლევის საფუძვლები“ ლექტორს ნათია ანდლულაძეს, რომლის ლექციებზე მიღებული ცოდნა და რჩევები დამეხმარა კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაში.

ცირა ბარქაიას - ლექტორს ვისგანაც მიღებული რჩევები დამეხმარა რესპოდენტთა მოძიებასა და კვლევის ეფექტურად წარმართვაში.

202-ე და 127-ე საჯარო სკოლის პედაგოგებს, რომ დამთანხმდნენ კვლევაში მონაწილეობაზე.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეების საკლასო აქტივობებში თანამონაწილეობის ხელშემშლელ და ხელისშემწყობ ფაქტორებს ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური პროფილის მქონე სკოლების დაწყებით საფეხურზე.

კვლევის მეთოდოლოგიად შეირჩა თვისობრივი კვლევა, გამოვიყენე მისი ერთ-ერთი ინსტრუმენტი სიღრმისეული ინტერვიუ და დაკვირვება. ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან მასწავლებლები და მოსწავლეები აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებაში, რა სახის მატერიალური თუ ადამიანური რესურსები ესაჭიროებათ სირთულეების დასაძლევად. კვლევა ჩატარდა ქალაქ თბილისის სპეციალიზებულ და საჯარო სკოლებში, რომლებშიც სწავლობენ მოსწავლეები მხედველობის დარღვევით. ნაშრომი შედგება ორი ნაწილისგან, პირველ ნაწილში მიმოხილულია თუ რა არის მხედველობის დარღვევა, რა მომსახურებით სარგებლობენ აღნიშნული პრობლემის მქონე მოსწავლეები საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია უშუალოდ თვისობრივი კვლევის შედეგები. ინტერვიუების და დაკვირვების შედეგებმა გამოავლინა ის ძირითადი გამოწვევები, რომლებსაც აწყდებიან მასწავლებლები და მცირემხედველი მოსწავლეები სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს და რაც აფერხებს მცირემხედველი მოსწავლეს საგაკვეთილო პროცესში სრულ ჩართულობას, კერძოდ დამხმარე ტექნოლოგიების არარსებობა, ადაპტირებული სასწავლო მასალების არ ქონა და ა.შ. კვლევის ბოლოს, შედეგების გათვალისწინებით გაიწერა რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს გარკვეული წინააღმდეგობების დაძლევაში.